საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №124
2023 წლის 5 აპრილი

ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შე საბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით (ვებგვერდი, 110524001, 25/05/2011, სარეგისტრაციო კოდი: 040030000.22.033.016192) დამტკიცებულ დებულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. **მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ^1“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ვ^2“ ქვეპუნქტი:**

„ვ^2) „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად და სამსახურის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულისათვის მინიჭებული ფუნქციის შესრულების მიზნით, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ამტკიცებს ვიდეოთვალთვალის სისტემასთან წვდომის/დაშვების წესსა და განსაზღვრავს ვიდეოთვალთვალის სისტემასთან წვდომაზე უფლებამოსილ თანამშრომლებს;“.

2. მე-8 მუხლის:

ა) პირველი პუნქტის „ზ^1“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ზ^2“ ქვეპუნქტი:

„ზ^2) „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის შესაბამისად, საიდუმლო ინფორმაციის დაცვის მონიტორინგი;“;

ბ) მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:

„3. სამსახურებრივი მონიტორინგის დეპარტამენტი უფლებამოსილია ამ მუხლის პირველი პუნქტის „ზ^2“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ფუნქცია განახორციელოს ვიდეოთვალთვალის სისტემის მეშვეობით.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი **ლაშა ხუციშვილი**